

სპორტული

საპარტუზლოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

10 ივლისი, საშუალო, 1990 წ. № 128 (10 297) • ფასი 3 კპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან



მსოფლიოს XIV ჩემპიონატის ფეხბურთის მსოფლიო

ფინალი

8.VII. რომი. არგენტინა — გერ 0:1 (0:0)




დიდი სფეხბურთო ფასივალი

დასრულდა

1990 წლის მსოფლიო ჩემპიონი ფეხბურთში — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები.

სასიხარულო ცნობები



ტენგიზ თელორაძე.



გიორგი ხინჩიაშვილი.

აიზინიოვში დამთავრდა კლასიკური სტილის მოჭიდვეთა საკავშირო ჩემპიონატი. ჩვენმა „კლასიკოსებმა“ გუნდური მესამე ადგილი მოიპოვეს რუსეთის ფედერაციისა და ბელორუსიის გუნდების შემდეგ. ეს საკმაოდ წესდებდა (ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი მიხეილ სალაძე), მით უფრო, რომ საქართველოს კლასიკური სტილით მოჭიდვეთა ნაკრები კარგა ხანია პრიზიორთა შორის არ მოხვედრილა.

განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ ჩვენი მოჭიდვეები 100 კგ წონით კატეგორიაში. აქ ოქროსა და ვერცხლის მედლებისთვის იბრძოდნენ თანაგუნდელები თენგიზ თელორაძე და გურამ გედეხაური. ამჯერად გამარჯვება თელორაძეს დარჩა, გედეხაური კი — შარშანდელი ჩემპიონი, ვერცხლის ჯილდოს დაეუფლა. ვერცხლის მედალი ერგო 90 კგ წონით კატეგორიაში გიორგი კოლუაშვილსაც. ბეგი დარჩია კი (82 კგ) ამჯერად მესამე იყო.

მსოფლიო ჩემპიონი და მეორე პრიზიორი ჰაბუტეში, საერთაშორისო ტურნირის („მეგობრობა“) ორგანიზატორების მიერ დაჯილდოვდა და ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონი ჰაბუტეშისა და ახალგაზრდებს შორის, საქართველოს X სპარტაკიადის ჩემპიონი გიორგი ხინჩიაშვილი ახლა ზედინედ მეორედ გახდა ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის. თავისუფალი სტილის მოჭიდვეთა ეს შეჯიბრება ფინეთის ქალაქ ლაპუაში ჩატარდა.



მსოფლიოს 1990 წლის საფეხბურთო ჩემპიონატი დამთავრდა. რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, რომ იტალიის სტადიონებზე ვერ ვნახეთ მნიშვნელოვანი მასშტაბის ტაქტიკური ნოვატივები, ნამდვილი ბრწყინვალეობით ვერ ითამაშა ვერც ერთმა ფეხბურთელმა და, ამდენად, მე-14 ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშის გამოვლენაც საკმაოდ რთული საქმე შეიქნა, საერთო განწყობამ და ნერვიულობამ მნიშვნელოვანი ჩრდილი მიაყენა ბევრი გუნდის თამაშის ხარისხს, იყო დაუფარავი, აშკარა უხეშობაც, უამრავი შეცდომა დაუშვეს მსაჯებმა, გათამაშების ფორმულა ჯერ კიდევ სრულყოფილი არაა და სხვანი და სხვანი, დარწმუნებით შეგვიძლია ის ვთქვათ, რომ იტალიის მსოფლიო ჩემპიონატი მაინც საგანგებო, ექსტრარდინალური მოვლენას წარმოადგენდა, მთელი მსოფლიო შეუნელებელი ყურადღებით აღევნებდა თვალს იტალიის სტადიონებზე გამართულ უშუღავათო ბრძოლას.

ყველა მიმომხილველი საგანგებოდ აღნიშნავს ადრინდელი ჩემპიონის იტალიის საფეხბურთო ქვეყნების დიდ პროგრესს. რად ღირს, თუნდაც, კამერუნის, კოლუმბიის, კოსტა-რიკის, ეკვატორის და სხვა გუნდების აშკარა აღმავლობა და თვალსაჩინო წარმატებები. ახლა, როცა ყველაფერი დამთავრდა, ძნელი არაა გუშინდელ მოვლენებზე კრიტიკული ლაპარაკი. მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ ცამდე აპყადათ იტალიელთა მწვრთნელი აძელი ვიჩინი, შემდეგ, როცა იტალიელებმა ნახევარფინალური მატჩი წააგეს არგენტინელებთან, იგივე ა. ვიჩინი მწვრთნელი იტალიის ობიექტად იქცა, მაგრამ 7 ივლისს ინგლისელებთან მესამე ადგილისთვის მატჩში გამარჯვების შემდეგ კრიტიკოსებმა კვლავ აღიარეს აძელი ვიჩინის დიდი დამსახურებანი. თავიანთი მოსაზრებები

იხ. გვ. 3 გვ.

გადამწყვეტი მატჩის მომენტი: გერმანელთა გუნდის კაპიტანი ლ. მათუხი (მარჯვნივ) ებრძვის არგენტინელ ხ. ბახუადას.

რეიტერ-საქდეს-საქინფორმის ფოტო

„იბერია“ — პოლონეთში

თბილისის „იბერია“ პოლონეთში იმყოფება ქ. კატოვიცის ფეხბურთის მესვეურთა მიწვევით. „იბერია“ 7 ივლისს პირველი მატჩი ჩატარა კატოვიცის გუნდთან, რომელიც ქვეყნის წლებანდელ ჩემპიონატში მესამე ადგილზეა, და გაიმარჯვა 2:0. ბურთები გაიტანეს გურულმა და კაჭარავამ. თბილისელები პოლონეთში კიდევ ორ შეხვედრას გამართავენ 13 და 15 ივლისს.

ფოთი — ყვალსათხილაშურო სპორტში ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი

„ყველა სპორტსმენი საკუთარი თავით უნდა იხილოს“

მეშვენი თანდათან გაიფანტა, ახლა ხაერთაშორისო ფედერაციის პასუხისმგებელი მუშაკები ვეწვივნენ საქართველოში. წყალსათხილაშურო სპორტში ევროპის 1991 წლის ჩემპიონატის მასპინძლად ჩვენი სანავადგურო ქალაქი ფოთია დასახელდა. ერთხელ უკვე უცრად შემოთავაზებული მასპინძლობის უფლება, მერე ახვე უცრად ჩამოგვართვეს. ცენტრის უპრინციპობაზე დაყოლას არავინ აპირებდა და ყველაფერი გაკეთდა, რათა სამართლიანობა აღდგენილიყო. შედეგი გამოიღო საქართველოს სპორტის მესვეურთა და უნივერსიტეტის მოთხოვნებმა და მცდელობამ — ფოთმა კვლავ დაიბრუნა წყალსათხილაშურო სპორტში ევროპის 1991 წლის ჩემპიონატის ჩატარების უფლება. ეს უკვე გამარჯვება იყო, მაგრამ გამარჯვება პირველ ეტაპზე, თანაც ისეთი გამარჯვება, რომელიც პრესტიჟულია არა მარტო ფოთის, არამედ მთელი საქართველოსთვის. ეს არის პატივი და ამავე დროს უდიდესი პასუხისმგებლობაც — სპორტული ასპარეზობის ორგანიზაცია და ჩატარება


ქონამედროვე მოთხოვნების შესაბამისად დიდ დროსა და ენერჯიას, საერთო ძალისხმევას და სახსრებს მოითხოვს.

რა მიგვაჩნია პირველ ეტაპზე გამარჯვება? ის, რომ ჩემპიონატის მასპინძლის უფლება დავიბრუნეთ, ის, რომ სპორტის ამ სახეობაში საერთაშორისო უმაღლესი რანგის ხელმძღვანელები საქართველოში ჩამოვიდნენ...

ყვალსათხილაშურო სპორტში საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის, ინგლისელი ობრი შინას საქართველოში ჩამოსვლის ამბავი „ლელოს“ წინა ნომერში გაუწყვეთ. პრეზიდენტს ახლა ჩემპიონატის სპონსორის — ამერიკის ფირმა „სუპრას“ წარმომადგენელი და ფედერაციის წევრი ბობ ლარსენი. ფირმის პრეზიდენტი ჯორჯ ფოვლერი მოსკოვს გვიან ჩამოფრინდა და დღევანდელი ველარ შეუერთდა. ასეთი რანგის ასპარეზობათა ორგანიზაციისა და ჩატარების საკითხები მასპინძელი ქვეყნის მთავრობის დონეზე წყდება. ამას წინათ, საქართველოს მინისტროს საბჭომ მიიღო საორგანიზაციო ხასიათის დადგენილება, რასაც საერთაშორისო ფედერაცია ჩემპიონატის ჩატარების გარანტიისათვის უმთავრეს არგუმენტად თვლის. ის, რომ მაღალი რანგის ჩემპიონატის მნიშვნელობა დღეს მხოლოდ სპორტით არ შემოიფარგლება, ყველამ კარგად იცის. ჩვენთვის

გათამაგებული მნიშვნელობა ენიჭება ამ ასპარეზობას და ეს გასაგებია — ქართული სპორტი იბრძვის სუვერენიტეტისათვის, ჩვენში გათვალისწინებული მოძრაობა, რაც მალე გავიციანოვან, როგორც სპორტულ რესპუბლიკას, მსოფლიოს ქვეყნები, მით უკეთესი. მომავალ ჩემპიონატს წყალსათხილაშურო სპორტში მთელი ევროპა იხილავს ტელევიზიით, ეს ასპარეზობა მსოფლიოს სპორტული სამყაროს ყურადღების ცენტრში მოექცევა. რადგან სპორტის ამ სახეობაში მსოფლიო ჩემპიონატიც ტარდება და მსოფლიო თასის გათამაშებაც.

და კიდევ: დღეს ჩვენ ყველა საშუალება, ყველა ხერხი უნდა გამოვიყენოთ, რომ საქართველო საერთაშორისო ფედერაციების წევრად მიიღოს. მოვლენებს წინ გავუსწრებთ და ვიტყვი, რომ გუშინწინ ფოთში, იმ ბაზაზე, სადაც მომავალი ჩემპიონატი უნდა მოეწყოს, საქართველოს სპორტსაკომის თავმჯდომარეს ნუგზარ ენდელაძეს სა-



საქართველოს ტელევიზიისთვის ინტერვიუს აძლევს მარცხნიდან — ნუგზარ ენდელაძე, ბობ ლარსენი და ობრი შინა.

იხ. გვ. 2 გვ.

